№ 21

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 21

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 1898 წ

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

**ტფილისი.**

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბ:ნკის ქარვასლა და

ბაქოში, სიდდეგელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 29 იანვარს,

ქართულის დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ სააკადმყოფოს სასარგებლოდ

**I**

## რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომედია 3 მოქმედებად, თხზ. ა. ცაგარლისა.

**II**

## აფთიაქარი ბელადი (sic: ახტუკანტი მელაძე)

2 მოქმ. კომ. თარ. ივ. მაჩაბელ., იმერულ კილოზე გადაკ. დ. მესხისაგან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

**ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების მმართველი** ამითი აცხადებს, რომ ტყეების ზედამხედველ მოწესედ (რევიზორ-ინსტრუქტორად) დანიშნულია კოლლეჟსკი სოვეტნიკი **მიხეილ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი**, რომელიც მოვალეა მსურველთ 1) შესაფერი დარიგება მისცეს პირადად იქმნება თუ წერილობით ტყის მეურნეობის შესახებ; 2) სამეურნეო აზრით იაროს და ათვალიეროს კერძო თუ საზოგადო ტყეები და 3) თუ თავისუფალი დრო ექმნება, ხელმძღვანელობა გაუწიოს ტყეებში მუშაობისათვის.

ადრესი მაიაკოვსკისა: ტფილისი, სახელმწიფო მამულების მმართველობა.

(3—6.—2).

დოქტორი მედიცინისა

## ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა**, დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.

(10—23—2)

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 31 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საბრეშუმო სადგურში მეორე საუბარი იქმნება გამართული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოშენდეს ფუტკარი, როგორ გამოიკვებოს ის, რომ მეტი თაფლი დაამზადოს და ზამთარში როგორ უნდა იქმნას მოვლილ-შენახული.

*** მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა ი. ს. მედვედევმა წარუდგინა მინისტრს პროექტი სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ თავ. ერისთავის მიერ შეწირულს ოძისის მამულში.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა მოსთხოვა კავკასიის მთავარ-მართებელს, მაცნობეთ, რა ხარჯსა სწევენ ყოველ წლივ ადგილობრივნი მცხოვრებელნი წყალდიდობისაგან მდინარეების გასამაგრებლად, აგრეთვე ის, თუ ამ საქმისათვის რამდენი ფული შეიძლება გადაიდოს საერობო თანხიდგან და საერთოდ ყოველგვარი ცნობა, რომელიც შეეხება კავკასიის მდინარეთა გამაგრება მოწყობასაო. სამინისტროს აზრადა აქვს ერთხელ და სამუდამოდ გაამაგროს კავკასიის წყლები, რომ ადიდების დროს მათ იმდენი ზარალი არ მოახდინონ, რამდენსაც აქამდის ახდენდნენ ხოლმე.

*** ამას წინად გარდაცვალებულის გრ. ს. აბესალომოვის ქვრივმა 1000 მანეთი შესწირა სხვა და-სხვა დაწესებულებათ: 200 მან. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, 200 მან. სომეხ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, 200 მან. იაფ-ფასიან სასადილოს, 100 მან. ქალაქის სასწავლებლებში ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელს საზოგადოებას, 100 მან. „იასლის“ საზოგადოებას, 100 მან. გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებას, 100 მან. ქ-ნ დემენტიევის იაფ ფასიან ჭრა-კერვის სკოლას.

*** სასამართლოს განაჩენი ბოქაულის თავ. აბაშიძის მოკვლის საქმის შესახებ კავკასიის მთავარ-მართებელს უკვე დაუმტკიცებია და შაბათს, 24 იანვარს, კავკასიის სამხედრო ოლქის ბრალმდებელს გაუგზავნია განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელისათვის სისრულეში მოსაყვანად.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ტფილისის გუბერნატორმა თელავის მაზრის სოფელ შაქრიანში საგანგებო საქმეთა მოხელე გაჰგზავნა იმ სახელმწიფო მიწების შესახებ საქმის გამოსაძიებლად, რომლებიც გლეხებს წაართვეს.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერს, ქალაქის ერთად-ერთი საავადმყოფო იმდენად არის სავსე ავადმყოფებით, რომ 27 იანვარს საავადმყოფოს გამგეობამ 40 ახლად მისულ ავადმყოფს უარი უთხრა, უადგილობისა გამო ვერ მიგიღებთო. როდის მოეღება ბოლო ასეთ არა-ჩვეულებრივს მოვლენას და როდის ვეღირსებით, რომ ქალაქის გამგენი მკვიდრთა კეთილ დღეობის ზრუნვას შეუდგნენ.

*** გაზ. „ნორ-დარის“ სიტყვით, კუკიის სომეხთა წმ. მარიამის ეკკლესიაში წარსულს პარასკევს იშვიათი ამბავი მომხდარა. ამ დღეს ეკკლესიაში ქორწილი ყოფილა და როდესაც მღვდელს უკითხავს საპატარძლოსათვის, შენის ნებით მისდევ და თანახმა ხარ ჯვარი დაიწერო თუ არაო, ქალს განუცხადებია, არა ვარ თანახმა ჯვარი დავიწერო იმაზედ, ვინც ეხლა ჩემთან ერთად გვირგვინს ქვეშა სდგასო. მღვდელმა ჯვარის-წერას თავი დაანება თურმე და სანეფო და საპატარძლო თავ-თავიანთ სახლში წავიდნენ.

*** გაზ. „მშაკის“ სიტყვით, ავლაბრელებს აზრადა აქვთ სთხოვონ ქალაქის საბჭოს, რომ ავლაბარში ცხენის რკინის გზა იქმნას გაყვანილი. თუ ქალაქი თავის ხარჯით ვერ მოახერხებს ამ საქმის სისრულეში მოყვანას, მაშინ ჩვენ ჩვენის ხარჯით ვკისრულობთ ცხენის რკინის გზის გამოყვანასაო.

## ფელეტონი

### ვისი ბრალია?!..

(სურათი მეთამბაქოეთა ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

**II**

თომას დედა ქუჟუნაური რვა წლის ჯვარ-დაწერილი იქნებოდა, როდესაც დაქვრივდა. დარჩა შესანახად სამი შვილი — უფროსი თომა, მოყოლებული ქალი ეფროსინე და ძუძუთა ვანო. ბევრი მთხოვნელი ჰყავდა ლამაზ, ეშხიან, თვალ-ჟუჟუნა ქვრივს (ამის გამო დაარქვეს (ჟუჟუნაური), მაგრამ ქმართან აღთქმა ჰქონდა არ გათხოვილიყო, პატარა შვილებისთვის თავი დაედო. სანამ თომა წამოიზრდებოდა და სახლის შენახვას შეიძლებდა, ბევრი ტანჯვა, ვაება გამოიარა თომას დედამ. არავითარს შრომას არ ერიდებოდა ქუჟუნაური. არა თაკილობდა სხვათა პურის მცხობლობას, მესარეცხობას, სხვათა ვენახში, კალოზედ და თამბაქოში მუშაობას. როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით შვილები წამოზარდა. ყველას ებრალებოდა წვრილ-შვილი ქვრივი, ეხმარებოდნენ, რითაც-კი შეეძლოთ, მხოლოდ ნათესავი და მეზობელი კიკო და ნამეტნავად ტასო იყვნენ ამის ქიშპობაში, დღე მუდამ დავიდარაბას არ ულევდნენ, უნდოდათ აქედგან აებარგათ საწყალი ქვრივი, რომ ეზო-ყურე გაეფართოვებინათ, თავიანთთვის საკუთარი კარ-მიდამო ჰქონოდათ. მაგრამ არც ისეთი მხდალი, მშიშარა-დაიდუნე გახლდათ ქუჟუნაური, რომ იგი დაეჩაგრათ. არ შეუდრკა იგი კიკოსა და იმის ცოლის ათას გვარ ოინს და აგერ ეხლა ამისი უფროსი შვილი თომა, რომელიც წელიწადი მოდის დანიშნულია, მკორედა ჰყიდის საკუთარს თამბაქოს. ეხლა ქუჟუნაურს იმის მეტი დარდი არა აქვს-რა, თამბაქო დროზედ გაყიდონ, რომ შვილის ქორწილი გადაიხადოს და თამბაქოსათვის აღებული ვალიც მოიშორონ...

აგერ დაბინდდა. ცა შავის ღრუბლებით გადალესილა და დედა-მიწას წვრილ თოვლის თეთრ ფერფლებს ესვრის. აქა იქ სანთლები აუბჟუტებიათ. ქუჟუნაურსაც აუნთია პატარა ხელის ლამპარი, რომელიც მკრთალ მოციმციმე ნათელს აფენს თომას ფიცრულს, ჩალით დახურულის სახლის შინაგან ღარიბ მორთულობას. სახლში მყოფნი თუნუქის გახურებულ ღუმელს შემოსხდომიან და მწარე დაღვრემილობასა და სევდანაღველს მოუცავს ყველანი. ლოდინისაგან გულები გადაელიათ, თვალები კარებისაკენ დასწყდათ... თომამ რად დაიგვიანა... ფეხის ხმაურობა შემოესმათ, უთუოდ თომაა... მართლაც, ერთის წუთის შემდეგ თომამ კარები შემოაღო... ესე რამ მოუღრუბლა სახე, წარბებს რადა ჰკმუხნის, იქნება თამბაქო ვერ გაყიდა...

— შვილო, გაჰყიდე თუ არა თამბაქო, რატო არ იტყვი, ლამის გული ბუდიდგან გადმომვარდეს, მაგრე რამ დაგაღონა? შეეკითხა თომას დედა.

— დედავ, კიკოს ხელში ჩვენ აღარ გვეცხოვრება... გეურქა მყვლეფავიანცი მოუყვანია ქალაქიდგან, ყველას თამბაქო გასინჯეს, ყველას თამბაქო იყიდეს, ბეც-კი დაურიგეს, ჩემს თამბაქოს-კი ახლოც არ გაუარეს. გეურქას ვეხვეწე, ჩემი თამბაქოც ნახე, იყიდე მეთქი, მაგრამ არ შეისმინა ჩემი ხვეწნა მუდარა, შენი თამბაქო ნაავდრევი, დამპალი, წამხდარიაო...

— რადაო, შვილო, შენ ვიღას რა ვენახი მოუკორტნე, რომ ესე უნახავად იწუნებენ შენს თამბაქოს...

— ეჰ, დედი, შენ არ იცი, ეს ყველა კიკოს ოინია, იმას უნდა მიწასთან გაგვასწოროს, აქედგან გაგვაძეოს, რომ ჩვენი ეზო-ყურე თითონ ჩაიგდოს ხელში და ისე თავისუფლად იპარპაშონ. აკი კიდეც უსრულდება გულის წადილი...

— იმდენი ხანი უკვნეს-უჩხვერნიათ და უავადნიათ, სანამ ისინი ჩემს სახლ-კარს დაინარჩუნებდნენ, წამოიძახა გაანჩხლებით ქუჟუნაურმა.

— შენ რაც გინდა სთქვი და თუ ამ ოც დღეში ჩემი თამბაქო ქალაქშიაც არ გაიყიდა, ჩემი საქმე დაიღუპება. ნუშო აგრე მეუბნება, თუ ამ აღებაშივე არ დაიწერ ჯვარს, ქვეყანაში თავი მომეჭრება და მერე შენს ქმრობაზედ ხელს ავიღებო.

— როგორ თუ თავი მომეჭრება, ბაო, რას ამბობ, შვილო, ზოგი ორის წლის შემდეგ იწერს ჯვარს და შენ ხომ ერთი წელიწადიც ძლივს არის, რაც დაინიშნე...

თომა აქამდის დედას არ უმხელდა, რომ იმისი დანიშნული ნუშო ფეხ მძიმედ იყო. უნდოდათ ისე დაეწერათ ჯვარი, ეს საიდუმლო თომას შინაურებს არ შეეტყოთ, მაშინ შეიძლება ქვეყანაშიაც არ გავარდნილიყო ხმა... ეს გარემოება ნუშოს ძალიან აწუხებდა. ამისთანა შემთხვევაში სხვისა დამცინავ-გამკრიჩხავი იყო და—დახე, ბედის-წერას!—თვითონ დაემართა ეს სამარცხვინო, ქვეყნის თვალში თავს-ლაფ დამსხმელი საქმე. არა, თავს მოვიკლავ და ქმრის სახლში აკვნით არ მივალო,—ჰფიქრობდა ნუშო—როდესაც თომასა ჰნახავდა ნუშო, სულ იმას ეხვეწებოდა, „მოახერხე, ჯვარი დავიწეროთ, თორემ თუ ქვეყანაზე შემარცხვენ, შენი ქმრობა აღარ მინდაო“... თომას იმედი ჰქონდა, იანვარშივე გავყიდი თამბაქოს და დავიწერ ჯვარსაო, მაგრამ დახეთ, კიკომ როგორი სარმა წამოსდო, სამაგიეროს გარდახდა რა დროს იხელთა... მეტი

*) იხ. „ივერია“ № 20.

*** დ. ლანჩხუთი, (გურია). ვერ წარმოიდგენთ, რა საჯაყი საქმე დაემართათ აქაურ მასწავლებლებს. ვიღაც ვაჟბატონი, „პროფესორის სახელწოდებით“ მობრძანდა აქ, დაიბარა მასწავლებლები და გამოუცხადა დირექტორის სახელით, რომ მოსწავლეები მოაგროვეთ ამა და ამ დღისთვის და მე ლექციას წაუკითხავო. მასწავლებელთ ყოველ მოსწავლისათვის ერთი შაური უნდა მოეტანინებინათ და დიდებს, რომლებიც მოისურვებდნენ დასწრებას, ათ-ათი შაური უნდა გადაეხადნათ. თუმცა საშინელი ცივი დარი დადგა, მაგრამ დანიშნულ დროს ყველამ თავი მოიყარა—მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და გარეშეთაც. დაიწყო ვითომ ლექციის კითხვა, მაგრამ, როგორც თქვენ არაფერი გაგიგიათ, ისე იქ დამსწრეთ. მოჰყვა ბოდვას, ღრეჯას, ქშენას და ლუღლუღს. როგორც იყო ლექციის კითხვა დასრულდა, შემდეგ გაიმართა ჩინებული ვახშამი „პროფესორის“ პატივსაცემლად და გაჩაღდა მხიარულება. ქეიფით გული რომ იჯერა, საცალა გაჰქრა. აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟბატონი სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი ყოფილა და ერთ დროს კიდეც არტისტობდა თურმე.

*** დ. ჩოხატაური. ამ რამდენისამე წლის წინად პატივცემულის ბოქაულის ბ-ნის გედევან ჟღენტის მეცადინეობით დაწესდა აქ პარასკეობა. ამ ჟამად პარასკეობაზედ დიდ-ძალი ხალხი იყრის ხოლმე თავს აღმოსავლეთ გურიის სხვა-და-სხვა სოფლებიდგან, რომელთაც აუარებელი სანოვაგე ჩამოაქვთ, მაგრამ უბედურება ეს არის, არ იციან, სად გაჩერდნენ უადგილობისა და ვიწროობისა გამო და სად ივაჭრონ. კარგი იქმნება, რომ პარასკეობა უფრო მოხერხებულს ადგილას იქმნას გადატანილი და შესაფერადაც მორთულ-მოწყობილი.

*** შუშა, (განჯის გუბერნია). აქ საზიზღარი მკვლელობა მოხდა; 17 იანვარს აქაურმა მეორე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა ევსტაფიევმა ჩუმად შეიტყო, რომ 16 ამა თვეს აქაური მცხოვრებელი ფათულლახ-ქერბალაი-ჲუსუფ-ოღლი დაურჩვიათ აქაურისვე მცხოვრებელის ალიშა-ველი ოღლის სახლში, გაუძარცვავთ, ფულად 200 მან. წაუღიათ, მოკლული სადღაც მიუმალავთ, ტანისამოსი და სხვა ვერცხლის ქამარი, საათი და რევოლვერი დაუმალავთო. ბ-ნმა ევსტაფიევმა ყოველივე ეს აღმოაჩინა და მკვლელები ალიშა-ველი ოღლი, ამისი რძალი მაშადი-გოვგარა-ქერბალაი-ქერიმ ყიზი, პეღბუთა ქერბალაი-ალიშ-ოღლი, ველი-ველი ოღლი და ცოლი მკვდარისა ხურბულა-ველი-ყიზი. ყველამ ამათ დანაშაული აღიარეს და დაპატიმრებულნი არიან. მოკლული გაეტანათ ქალაქ გარეთ და გადაეგდოთ ხევში. ბ-ნ ევსტაფიევმა აქ ყოფნის ცოტა ხანში კარგი სახელი დაიმსახურა: თითქმის მუდამ დღე იჭერს მაჰმადიანთა სახლებში აღკრძალულს იარაღს და სპარსეთიდგან ჩუმად გადმოტანილს ჩაის და ფარჩას.

*** 29 იანვარს, საღამოს 9 საათზედ, იშხანოვის დუქანში, სენაკის მაზრის გლეხმა იოსებ ჩარიგაშვილმა დანით მარჯვენა ხელში დასჭრა ტფილისის მცხოვრებელი ესტატე მიკირტუმოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავე შეიპყრეს.

სოფ. გლდანი. ამ დღეებში აქაურს გლეხს გიგო მგალობლიშვილს ტყუპი ვაჟიშვილი ეყოლა. სიხარულის მაგიერ მწუხარება გამოიწვია ორმა ვაჟიშვილმა საბრალო გლეხის გულში. არა აქვს მამული, საკუთარი სახლი და არ გააჩნია საქონელი. მელოგინე ნოტიო მიწურში ნალზედა სწევს, არაქათი აღარაფრისა აქვს სიმშილ-სიცივისა და მწუხარებისაგან. იქვე ხოჭიებში ძლივსა ჰკნავიან ახლად-დაბადებულები. გლეხი მზადაა ორივე ვაჟიშვილი იმას მისცეს, ვინც მოისურვებს, გამოართმევს გლეხს და დაიხსნის საბრალოებს აუცილებელ სიმშილით სიკვდილსგანაო.

*** ქ. ტფილისის მე-5 ნაწილის უძრავ მამულების ხელ-ახლა დაფასება უკვე დასრულდა. ამ დღეებში დამფასებელი კომისია მე-6 ნაწილის მამულების დაფასებას შეუდგება.

## წერილი გურიიდან

როგორია გურია და როგორი იყო წინად?

ამის ახსნასა და განმარტებას რომ გამოვუდგეთ, ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება, რადგანაც ეს საკითხი ძლიერ რთულია. ისევ ვეცდებით მოკლედ გარდავსცეთ მკითხველთ. „რას აკეთებს გურია დღეს“? რასაკვირველია დიდს არაფერს, მაგრამ რასაც აკეთებს, ისიც საკვირველია გურულებმა შეჰქმნეს ყველა სოფელში სკოლები, გაჰმართეს სამკითხველოები, დააარსეს ამხანაგობა, შეუდგნენ სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების გამართვას. არ დასჯერდნენ ამას და შემნახველ-გამსესხებელი ბანკიც-კი დააარსეს. ერთის სიტყვით, გურიამ ამ 5—6 წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადადგა წარმატების გზისაკენ. დღეს გურიის ყველა დაბა-სოფელში შეხვდებით, რომ უბრალო სოფლის კაცს უჭირავს ხელში წიგნი, ან გაზეთი და მუშაობისაგან მოსვენებული გონების ვარჯიშობს შესდგომია. ვისაც უნდა დაეკითხოთ, ყველა თამამად მოგიყვებათ ქართველ მოღვაწეთა ვინაობის ამბავს, იციან, იმათ რა უკეთებიათ ხალხისათვის, რისთვის უბრძოლიათ მთელი თვისი სიცოცხლე და სხვანი, რაც აშკარად გვიმტკიცებს იმათს წინ სვლას და გონებრივად გავარჯიშებას. ყოველსავე ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ გურიაში თან-და თან მრავლდებიან ისეთი ახალგაზდები, რომლებიც დიდად მეცადინეობენ რითიმე განაკარგონ გურულების ცხოვრება. ამ ახალგაზდათა შრომას უნდა მივაწეროთ გურიის დაბა-სოფლების ფეხზედ წამოდგომა სწავლა-განათლების მხრით.

ბევრგან ერთ-და-იმავე სოფელში ორი სკოლაა, სამრევლო და სამინისტრო, მაგრამ ერთშიაცა და მეორეშიაც მოსწავლეთა რიცხვი იმდენია, რომ ადგილს ველარ ჰშოულობენ დასაჯდომს. ყოველი გლეხი იმასა სცდილობს, რომ შვილი აღზარდოს როგორმე და ამისათვის არას იშურებს. მისი ბედნიერება ის არის, რომ იმისს შვილს ოდესმე ეღირსება სახელი „ნასწავლისა“ და შეიქნება მამა ნასწავლის შვილისა!

რაც შეეხება სამრევლო სკოლებს, ამ სასწავლებლის პროგრამა მეტად კარგია, თამამად შეუძლიან მასწავლებელს აუხსნას მოსწავლეს საგანი რიგიანად, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს ადგილას ისეთი მასწავლებლები არიან, რომ ახსნის ცოდნაც არ შესწევთ. აბა, როგორი მასწავლებლობა უნდა გასწიოს ისეთმა კაცმა, რომელსაც პირველ-დაწყებითს სასწავლებელში შეუძენია ცოდნა და ამ ცოდნით ორიოდე გროშის გულისათვის მასწავლებლობას შესდგომია. მე რომ მკითხოთ, ასეთი მასწავლებლები ზნეობრივად ვალდებულნი არიან თავიანთი ადგილი დაუთმონ უფრო მცოდნე და დახელოვნებულ მასწავლებლებს, ან თითონაც ჰმეცადინეობდნენ უფრო მცოდნე და გამოცდილ მასწავლებლებთან...

კონტი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ტოლა, (რაჭის მაზრა), 10 ნოემბერი. სოფელი ტოლა მდებარეობს სწორედ იმ ალაგს, სადაც ჩრდილოეთის მხრივ თავდება საზღვარი რაჭისა და იწყება ლეჩხუმის მაზრისა. ტოლას სამხრეთის მხრივ ჩამოუდის დიდი მდინარე ფაზისი (რიონი), ხოლო დასავლეთის მხრივ მდინარე ასკი. ჩრდილოეთის მხრივ შემოზღუდულია მაღალის მთა-გორაკებით, სადაც ბევრ გვარი სასარგებლო ხე-ტყე მოიპოვება. სოფელი ფერდობს ალაგზედ არის გაშენებული და შეადგენს თავად გელოვანების მამულს. ხალხი მამა-პაპურის მეურნეობით სცხოვრობს დღესაც და ახლანდელის ცივილიზაციისა და სამეურნეო განვითარების შუქს ჯერ აქ თავისი სხივი არ მოუფენია, ძველის-ძველის, მამა-პაპურის იარაღით ხვნა, თესვა და მევენახეობა არის ამათი ფუძე ცხოვრების დედა-ძარღვი. ღვინო საუკეთესო ღირსებისა მოდის და როდესაც ეს ღვთისაგან ნაკურთხი მცენარე გულ-უხვობას გამოიჩენს და ცოტაც არის ღირსეულად დააჯილდოვებს მუშა ხელს, მაშინ საცოდავი გლეხობაც ფეხზე სდგება და წელში იმართება. ერთად-ერთი წყარო, რომ ტოლელმა გლეხმა თავისის მიწის ნამოქმედარი ფულად აქციოს, ღვინოა, გაყიდულის ღვინის ნაფასით უნდა მოიშოროს თავიდგან სახელმწიფო გადასახადი, სასოფლო, სამღვდლო, საბატონო და სხვა ბევრ გვარი აუცილებელი ხარჯ-ბეგარა. ღვინო, რასაკვირველია, რაც უნდა უხვი მოსავალი იყოს, იმდენი არ მოუვა ტოლელ გლეხს, რომ გასასყიდად გადურჩეს, მაგრამ რაკი ღონე ფულის შოვნისა სხვა აღარა დარჩენია, თითონ, რასაკვირველია, ვერც-კი იგემებს საცოდავი გლეხი თავისის შრომისა და ოფლის ნაყოფს, ისე უნდა გაჰყიდოს, როგორც ჰფასობს.

მიწად-მოქმედების გარდა სხვა არც ერთი დარგი მეურნეობისა და მრეწველობისა ტოლელმა არ იცის და ვერც რასმე მოსხერხებს; როდესაც ვენახი სიმწიფეს გამოიჩენს და ღვინო ნაკლებად მოვა, სწორედ მაშინ იწყება ტოლის მკვიდრთა განსაცდელი. ჩვენის მევენახეების სამწუხაროდ, ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ვენახებს მილდიუ გაუჩნდა, რის გამოც ღვინის მოსავალმა შესამჩნევად იკლო. ხალხი სწამლობს ვაზს შაბიამნითა და კირით, მაგრამ ბევრი საიმედო ნიშანი არა სჩანს რა. ყველა თავისს დროზედ და წესიერად ვერ ახერხებს ვენახების წამლობას და შეიძლება ესეც იყოს იმისი მიზეზი, რომ ნაწამლი მამულებიც დასნეულებულია და ველარ იძლევა ხეირიანს გამოსავალს. წლევანდელის რთველისა დიდი იმედი ჰქონდათ ტოლელებს, ყვავილობისა და მარცვლობის წარმოების ჟამს ვენახები თვალისა და გულის გასახარელს და დამაიმედებელს სურათს წარმოადგენდა. კარგა ხანია, რაც ასე უხვად, როგორც წელს, ვენახებს არა სხმია. ამის მხილველი საწყალი მუშა ხალხი სიხარულით ცას სწვდებოდა, ეს არის ღმერთმა მოუვლინა ჩვენს მარჯვენას და ჯაფა-შრომას თვისი მადლი და კურთხევაო, ჩვენი მამულის გამოსავალი წელს სწორედ მოგვაგონებს ჩვენთა წინაპართა მიერ ბედნიერსა და დიდ-მოსავლიან დროში ჩაკირულს ორმოც, სამოცდოიან ქვევრებს და ავავსებთ კარგის ღვინით, საჭირო ფულსაც ვიშოვით და ჩვენც ხშირად შევზარხოშდებითო. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ქართულდა ან-

---

რა ღონე ჰქონდა, დედისათვის უნდა გაემჟღავნებინა ეს გულის მუწუკი—ამ ამბის გაგონებაზედ ჟუჟუნაურს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ, როგორც იყო, გული მოიბრუნა. ჯერ-კი უსაყვედურა შვილს, რატო აქამდის კრინტი არ დასძარი, მაგრამ მერე ურჩია აჩქარებულიყო, დილაზედვე ფურგუნის დასაჭერად წასულიყო, რომ ქალაქში მაინც დროზედ გაეყიდნა თამბაქო და ნიშნ-მოსაგები საქმე არ დამართვოდათ. „არ მინდა ი წელკავიან ტასოს მასხარად ასაგდები სახლი გამიხდესო“, ჰფიქრობდა დამწუხრებული ჟუჟუნაური...

III

თებერვლის პირველი რიცხვებია. შუაღამე გადასულია. სძინავს ყოველს სულდგმულს. მხოლოდ გაალმასებულ ქარიშხალს გააქვს ერთი ღრიანცელი, ზღვის ტალღებსავით, რაც ძალი და ღონე აქვს, ეხლება სახლის სახურავებს, აზანზარებს დიდროან შენობებს, კარ-ფანჯრებს ლაწა ლუწი გააქვს... ქალაქის ერთის ქარვასლის პატარა, ჭუჭყიან, ერთ ფანჯრიანს ოთახში, ფილაქანზედ, შინლის ფარაჯაში გამოხვეული წამოწოლილა თომა. იმის თვალებს ძილი არ ეკარება. მტანჯველს ფიქრებს მოუცავს იმისი გაწამებული არსება. ერთბაშად ფანჯრისაკენ გადმოკოტრიალდა და თვალებში მთვარის შუქი ეცა. ქარს დაექსაქს-დაეფანტა ცაზედ ღრუბლები და მთვარე, კეკლუც ქალივით, დასავლეთისაკენ მიარხევდა ნაზად და თან აჩქარებით ტანს. მთვარის ვერცხლისებური, მკრთალი სხივები სვეტად დაშვებულიყო გვერდის ჭუჭყისაგან გაპოხილს კედელსა და იქ მდგომ დანჯღრეულს, გამჭვარტლულს მაგიდაზედ. აქვე იწვა თომაც. ამ სინათლემ თომას დაღვრემილსა და გაბოროტებულს გულსაც შუქი მოჰფინა, ერთს წამს ბოღმა გადაეყარა გულიდგან თომას. მოაგონდა თვისი დანიშნული ნუშო, იმისი დარდისა და ფეხმძიმობისაგან მიმკრთალებული პირის-სახე, რაც უფრო ალამაზებდა იმისს ეშხიანს შავს-თვალ-წარბს, იმისი ხვეწნა-ვედრება, — „თუ გიყვარვარ, აღებაში მოახერხე ჯვარის წერა“-ო. ამ სიტყვების მოგონებისათანავე წუთიერი სიამოვნება მყის განუქრა, ისევ ბოღმა მოაწვა გულზედ.

ეხლა რაღა პირით უნდა მივიდეს ან დედასთან ან დანიშნულთან. ეს ექვსიოდე თუმანი, რომელიც ამან საწყობის პატრონს გამოართვა ქარვასლაში, ხომ მოვალეებსაც არ მოსწმენდს პირს—დანარჩენსაც, როცა გაიყიდება, გამოგიგზავნიო — ჯერ თითონ აქ არის, პირად ყველას შეეხვეწა, მაგრამ ამის თამბაქოს ყიდვისა ყველამ უარი სთქვა, მერე რაღა ეშმაკის ჯადოქრობით გაიყიდება? რა წამსაც სახლში მივა, მოვალეები მისცვივდებიან, ეგონებათ, თამბაქოს გაყიდდაო, და ათასად გასწეწ გამოსწეწავენ. საქორწილო ხარჯი? ეხლა ფულს ვიღა ანდობს—მოვალეებთან პირშავად უნდა დარჩეს. თავის დახჩობა, რომ მოინდომოს, თოკსაც აღარავინ ენდობა—წავიდა და უკუღმა დატრიალდა ამისი საქმე. ერთის წლის შრომამ ხომ ფუჭად ჩაუარა—ამას კიდევ არ იჩივლებდა, ჯვარი რომ დაწერილი ჰქონდეს. ეს, ეს უწყალავს, ალმასივით უღადრავს გულს... თომამ იცის, ვინც დაღუპა... ან რა კაცი იქნება, ჯავრი გულში ჩაიყოლოს... რაც იქნება, იქნება... აღარას დაეძებს... ტყუილად მაინც ფულს რიღასათვისა ხარჯავს, შინისკენ უნდა დაბრუნდეს, აქ ყოფნით მაინც აღარა გარიგდება რა...

რამდენისამე დღის შემდეგ თომა თავისავე სოფელში დაბრუნდა. დილის ათი საათი იქნებოდა. სოფლის დუქნის წინ დაგდებულ ხის მორზედ ათიოდე სოფლის კაცი ჩამომსხდარიყო და რაღაცას ბაასობდნენ. მათ შორის კიკოც ერია. შავმაუდ-გადაკრული ტყავის ქურქი წამოესხა, ქოშებით გამობრძანებულიყო, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა. თომას მიახლოვებისათანავე ბაასი შესწყვიტეს და თომას დაუწყეს გამოკითხვა, გაჰყიდე თუ არა თამბაქო, ან რა ფასადაო. როდესაც გაიგონეს, რომ თომას ვერც ქალაქში გაუყიდნია თამბაქოო, ერთმა შუახნის კაცმა თანაგრძნობით უთხრა.

— რატო, კაცო, იქ მაინც რას გემართლებოდნენ?...

— სახლი და კარი რომ ამოუწყდეს და ცოლშვილი გეენაშოს იმ გველაძუა, ვირ-ეშმაკა, მოძმის სისხლის მსმელს, რომელმაც ჩემი წრევანდელი თამბაქო ასე გამიფერანა, გამიოხრა და კერაზედ ანთებული ცეცხლი ჩამიქრო.

ლახვარივით მოხვდა გულში კიკოს ეს სიტყვები. იცოდა, ვისკენაც იყო იგი ნასროლი, ველარ მოითმინა წყენა და პირში მიახალა.

— შენ რომ სხვათა ცოლშვილს თავი დაანებო და შენის დანიშნულისათვის ჭოჭინა-აკვანი გააკეთებინო, კარგს იზამდი... მერე დამცინავის კილოთი დაუმატა: მაგრამ მაყრად გამოგყვებ... უკანასკნელის ასოს წამოთქმა აღარ დასცალდა კიკოს, ელვასავით გაურბინა თომას თავში „ალმად ნუშო ლოგინად დაწვა და ის წამომიმწვიტინა... როგორ დამცინის კიდეც... ჩემი ოჯახის ღალუპვას არა ჰკმარობს, უნდა ჩემს სახელსაც ჩირქი მოსცხოს... არა, მაგის ნებას არ მოგცემ“... და ტყვია ნაკრავსავით ხანჯალ-ამოწვდილი გადახტა თვალის დახამხამებაზედ კიკოსთან. იქ მყოფნი მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როდესაც კიკო მიწაზედ გაშხლართული დაინახეს...

— ხელებ-გაბაწრული თომა-კი იმ დღესვე გაჰგზავნეს...

ე. მ—შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზა: უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, საცოდავს ტოლელებსაც აგრე მოუვიდათ, ბუნებამ მხარი არ დაუჭირა მათს ოცნებას და მოლოდინი გაუცრუა, თიბათვეში ორჯელ დასეტყვა ტოლა და უმეტესი ნაწილი მამულებისა ისე გაათეთრა, რომ ერთი მტევანიც აღარ შერჩენია, ხილად მაინც ენახა დაზარალებულს მემამულეს. თუ აქა-იქ გადაურჩა სეტყვას რომელიმე ნაკვთი მამულისა და მოისთვლო მეპატრონემ, ისიც ისეთი დადგა, რომ ღვინოდ არ ჩაითვლება. ამ გვარად ეს ერთად ერთი წყარო ეკონომიურის აყვავებისა ხელიდამ გამოეცალა ტოლელებს.

მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული ს. ტოლა. ისეთი საძაგელი გზები, როგორიც აქაა, არა გვგონია სხვაგან სადმე ნახოს ადამიანმა. გაავდარდება თუ არა, კაცს გავლა აღარ შეუძლიან, ყელამდის უნდა ჩაითვლას ტალახსა და მეწყერში; ზამთარში ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთია ტოლა, ხალხი თუ საქონელი ძლივს და მოძრაობს, ტალახებისა გამო. დღემდის ამ ყოფაში ვართ ტოლელები და ესლა იქნება გამშველოს რამ. რაჭის ახალი მაზრის უფროსი თ. დადიშქელიანი მხნედ შეუდგა ხალხის ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს და, იმედია, ჩვენც გადმოგვხედავს თავისის მოწყალის თვალით და უგზოობით შებორკილს ტოლელებს ხეირიანს გზებს გაგვდირსებს.

ტოლის საზოგადოებამ გარდასწყვიტა და შეუდგა კიდეც ახალის ეკლესიის აშენების საქმეს. ახალის ეკლესიის აგების აუცილებელ საჭიროებას კარგა ხანია ჰგრძნობდა ზემოხსენებული სოფელი, მაგრამ ხელმოკლეობისა გამო, ვერ ბედავდა ამ მძიმე საქმის სისრულეში მოყვანას. წელს გაბედეს, დაიწერეს პირჯვარი და შეუდგნენ ამ წმიდა საქმეს. ახალი ტაძარი უნდა აშენდეს ძველის ეკლესიის ეზოში, მშვენიერს ადგილზედ. ადგილობრივმა მღვდელმა აპ. სურღულაძემ მოიწვია ეკლესიის ამშენებლად ლეჩხუმის მაზრის სოფ. გენდუშს მცხოვრები კალატოზი გლეხი ნიკოია ჭილვარია და მას შეეკრა შინაურის პირობით. ჭილვარიამ იკისრა თლილის ქვის ეკლესიის აგება ეპარქიის მთავრობის მიერ დამტკიცებულის გეგმის თანახმად შემდეგის პირობით: სოფელმა უნდა მისცეს მას ხუთას ორმოც-და-ათი თუმანი ფული, სოფელმავე უნდა მიუტანოს შენობისათვის ყოველგვარი საჭირო მასალა და მასთან უნდა აძლიოს დაკვეთილი ხარჯი, პური ღვინო, საკლავი, და მარხვის შესაჭამადი. სოფელმა ამოარჩია სამის წევრისაგან შემდგარი ცალკე კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს ახალის ეკლესიის აგების ყოველგვარ საქმის წინამძღოლა და მართვა-გამგეობა. კომიტეტს შეადგენენ: მრევლის მღვდელი აპ. სურღულაძე, გლეხი აკოფა ცხურავაშვილი და ოქრობირ გაგოშიძე. თავადნი გელოვანები, რომელთა წინაპართა მიერ აშენებულია საკუთარს ადგილზედ ძველი, მაცხოვრის ეკლესია და რომელთაც შეწირული აქვთ ეკლესიისათვის საკმაოდ მოზდილი მამული, დღესაც მზად არიან დიდსულოვნად დახმარება და შეწევნა აღმოუჩინონ ამ საქმეს: ქვა-კირი, შეშა და საჭირო ხის მასალა სრულიად უფასოდ დაუთმეს გლეხებს.

ქაიხოსრო გელოვანი

# რუსეთი

რუსეთის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოებას განზრახვა აქვს 1899 წელს ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენა გაჰმართოს ქ. პეტერბურგში. გამოფენის დაწყებისათანავე საზოგადოება რუსეთის მებაღეთა კრებასაც გაჰმართავს, კრებამ ბაღ-ბოსტნეულობისა და ხილეულობის წარმოების ამა თუ იმ დარგის შესახებ უნდა მოილაპარაკოს.

— რადგან მუშა საქონლის დაზღვევა მეტად ხელს უწყობს გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობის განვითარებას, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს საცდელად წესდება შეიმუშავოს და სავალდებულო გაჰხადოს ყოველგვარ საქონლის დაზღვევა.

— ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ხარაფხანას 1.200,000 მანეთის შავის ფულის მოჭრა შეუკვეთა.

# უცხოეთი

**საბერძნეთი და ოსმალეთი.** გაზ. „Journal des Debats“-ს დეპეშით ატყობინებენ ათინიდგან: „დამიიდგან იუწყებიან, რომ სეიფულ-ფაშა 2,000 ჯარის კაცით და ორის ზარბაზნით თესალიის სოფელ ლაზარინში წავიდა იმ აზრით, რომ გლეხებს მალათ გამოართოს გადასახადი, რომელსაც ისინი არ იძლევიანო. გლეხები ჯარს თოფებით დაუხვდნენ და სროლა დაუწყეს. რასაკვირველია: არც ოსმალები ჩამორჩნენ და ამ რიგად ჯარსა და გლეხებს შორის მთელი ბრძოლა გაიმართა. მეორე დღეს მოწინააღმდეგეთ ხელახლა დაუწყეს ერთმანეთს თოფების სროლა და ჯერ არავინ იცის როგორ დასრულდება ეს ბრძოლაო“.

**ჩინეთი.** შანხაიდგან სწერენ „Daily Mail“-ს: „ცინგ-ლი-იამენმა გაუგზავნა ზოგიერთ წარჩინებულ მოხელეთ საიდუმლო დეპეშები, რომლითაც აცნობა მათ, რუსეთმა გამოუცხადა ჩინეთის მთავრობას, რომ თუ გიაო-ჩაუ გერმანიას დაეთმობა, მე პორტ-არტურს ან ტალიენვანს მოვითხოვო. ამ ჟამად პორტ-არტურსა და ტალიენვანში 10,000 რუსეთის ჯარი არის დაბანაკებულიო“.

**რუსეთი და ინგლისი.** „Berliner Tageblatt“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: „რუსეთი დარწმუნებულია, რომ დადგება ისეთი ხანა, როდესაც უნდა უგანასკნელად გადასწყდეს, აღმოსავლეთ აზიაში რომელმა სახელმწიფომ უნდა იპიროს. ამიტომ რუსეთი არაფერს არა ჰზოგავს, ოღონდ თავისი საწადელი განახორციელოს. რუსეთ ჩინეთის ბანკის დაარსება, მანჯურიის რკინის გზის გაყვანა, კორეაში გამაგრება და მრავალი სხვა ფაქტი აშკარად მოწმობენ, რომ ოდესმე რუსეთი პირველს ადგილს დაიჭერს აღმოსავლეთ აზიაში და იქმნებ ჩინეთის იმპერიის პროტექტორატიც შეიქმნეს. ამიტომ ბრძოლა ინგლისსა და რუსეთს შორის აუცილებელია, თუმცა რუსეთი დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლას მარტო დიპლომატიური და ეკონომიური ხასიათი ექმნება. ამასთან ინგლისი იძულებული გახდება ჩინეთის ზღვიხანის, კიცე-გოროლერის და მანდარინების სასახლეებში ფეხი აიკვეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შიში დაადგება ინდოეთის მხრით: ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ დიდ ბრძოლის დაწყებას ვერ გაჰბედავს, თუმცა ყოველ ღონეს იღონებს, რომ რუსეთის წინსვლა შეაჩეროს, ინგლისისა და იაპონიის შეერთებულის ფლოტისა რუსეთს სრულიადაც არ ეშინიან, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ბრძოლა თუ მოხდა, უეჭველად ხმელეთზედ მოხდება და არა ზღვაზედ“. ამავე კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია რუსეთის ერთს წარჩინებულ დიპლომატთან, რომელსაც აი რა უთქვამს: „თუ ინგლისი თავისას არ დაიშლის და მოიწადინებს, რომ სესხი იმ პირობით მისცეს ჩინეთს, რა პირობაც ამას წინად წარადგინა, რუსეთი არას გზით არ დასთანხმდება, რომ ჩინეთის ნავთ-სადგურებმა ინგლისს კარი გაუღონ. ამასთან რუსეთს მხარს უჭერს საფრანგეთი და გერმანია. რუსეთი დარწმუნებულია, რომ გაზაფხულს ინდოეთის საზღვარზედ ომი ხელ-ახლა ატყდება და ინგლისი იძულებული გახდება მთელი თავისი ძალ-ღონე ამ ომს მოახმაროს. მაშინ რუსეთს აღარ გაუჭირდება, რომ 100,000 ჯარისკაცი ინდოეთში გადაუგზავნოს და იქიდგან რაც უნდა, ის უბრძანოს ინგლისს.“

**ავსტრია.** გაზ. „Germania“ იუწყება, იმპერატორი ისე მოიქანცა და მოიღალა ავსტრიის იმპერიის ერთა ერთმანეთ შორის ბრძოლით, რომ აზრადა აქვს მეფობის 50 წლის შესრულების იუბილეის შემდეგ მართვა-გამგეობის საქმეების რამდენიმე ნაწილის ხელმძღვანელობა ტახტის მემკვიდრეს ფრანც ფერდინანდს გადასცეს. იმპერატორი მხოლოდ უმთავრესს საქმეებს გადასწყვეტს, დანარჩენ საქმეებს ტახტის მემკვიდრე განაგებსო.

## სასამართლოს მატიანე

გორის ავაზაკთა ბრბოს საქმე

26 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსიამ გორში უკვე დაიწყო გარჩევა ავაზაკთა მთელის დასის საქმისა. ბრალი ედება შვიდს კაცს, მათ შორის ერთი 60 წლის მოხუცია, ხოლო დანარჩენნი— ახალგაზდანი არიან, ესე 21—25 წლისანი. საბრალმდებლო ოქმით ავაზაკთა ბრბომ თარეშობა წარსულ 1897 წლის 26 მარტს დაიწყო. ამ დღეს კახეთიდგან მომავალიყო გლეხი მაისურაძე იავისის შვილით და როდესაც გორის მაზრის სოფელ კეხვს მიუახლოვდა, მათ სამი ხანჯლებითა და რევოლვერებით შეიარაღებული ოსი დახვდა და ფული მოსთხოვეს. ამასთან ოსები დაემუქრნენ, თუ ფულს არ მოგვცემთ, აქვე მოგკლავთო. მაისურაძემ განაცხადა, რომ ფული არა მაქვსო, მაგრამ ოსებმა არ დაუჯერეს, ცემა დაუწყეს, შემდეგ წააქციეს, უბიდგან 39 მანეთი ამოაცალეს, ხურჯინი და ხანჯალი წაართვეს და სოფელ კევხისაკენ წავიდნენ. 8 დღის შემდეგ, 4 აპრილს, ამავე ადგილის მახლობლად ჩამოხტა შესასვენებლად ოთხი იმერელი— ამირან და გიორგი ივანეს ძენი და ვანო შიოს ძე მაისურაძენი და სანდრო საყვარელის ძე გოგრიჩიანი, რომელნიც აგრეთვე კახეთში ყოფილიყვნენ სამუშაოდ და იქიდგან მოდიოდნენ. რა წამს ეს იმერლები წყაროსთან დასხდნენ, იმ წამსვე ოთხი შეიარაღებული ოსი გამოვარდა. ოსები რევოლვერებით და ხანჯლებით მისცვივდნენ იმერლებს და ფული მოსთხოვეს. ამ დროს გიორგი მაისურაძე წამოდგა და გაიქცა, ერთი ავაზაკთაგანი უკან გამოუდგა და თუმცა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა და მაისურაძე ტყეში დაიმალა. დანარჩენ იმერლებს ავაზაკებმა წაართვეს ხანჯლები და თითოს 80 მანეთი ფული, გარდა ამისა მაისურაძე ხანჯლით დასჭრეს, ხოლო ვანო მაისურაძეს ლევორვერი ესროლეს, მაგრამ ააცდინეს.

ამ ამბის შემდეგ პოლიციამ ავაზაკებს ძებნა დაუწყო სოფ. დამპალოში, სადაც სცხოვრობდა ოსი ფარნაოზ ბოგაური, რომელიც ხშირად იფარავდა და ჰმალავდა სხვა და-სხვა ავაზაკებს. ბოგაურის სახლში შეიპყრეს სამი შეიარაღებული ოსი ბესარიონ და რაჟდენ თვაურები და ვასილ მარგიშვილი; ხოლო მეორე ოთახში აღმოჩნდა ის ნივთები, რომლებიც მაისურაძეებს და გოგრიჩიანებს წაართვეს. ნივთები ზოგი ორ ხურჯინში ელაგა, ზოგი კიდევ ბოგაურის სიძის სკივრში, ხოლო დანარჩენი ანდრო ზაგიაშვილის სკივრში. შეპყრობილნი გამოტყდნენ, რომ მაისურაძეები და გოგრიჩიანი ჩვენ გავძარცვეთო. ამასთან მეოთხე მონაწილედ დაასახელეს გლეხი საბა მიხეილის ძე თედოშვილი, რომელიც აგრეთვე შეპყრობილ იქმნა. იმ ნივთების შესახებ, რომლებიც ბოგაურისა და ზაგაშვილის სკივრებში აღმოჩნდა, ბოგაურმა და ზაგაშვილმა სხვა-და-სხვა ნაირად ილაპარაკეს: ხანა სთქვეს, რომ ნივთები თვით გაჩნდნენ ყუთებშიო, ხან ეს ნივთები ოსებისაგან გვინდოდა გვეყიდნაო, ამასთან დაუმატეს, რომ შეპყრობილ ოსებს არ ვიცნობთო. მაგრამ ეს მეცხვარის, 15 წლის კოტე თედოშვილის ჩვენებით, ტყუილი გამოდგა. კოტე თედოშვილმა განაცხადა, რომ შეპყრობილები ხშირად მოდიოდნენ ბოგაურთან, თან სხვა-და-სხვა მოპარული ნივთები მოჰქონდათო. თითონაც ბევრჯელ გაუთენებიათ ღამე ბოგაურსა და ზაგაშვილთანაო. ესევე განაცხადეს ნიკო და კოლმანა ჩოჰმაზაშვილთ, შავლეგა ძაგოშვილმა, ჯიკოშვილმა და სხვათა. ამის გარდა, ის ხანჯალი, რომელიც სოფრონ მაისურაძეს წაართვეს, ბესარიონ თვაურს აღმოაჩნდა.

(შემდეგი იქნება)

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„მარინე“, ისტორიული მოთხრობა განდეგილისა. ფასი 5 კაპ.

გადავიკითხეთ „მარინე“ განდეგილისა და დიდად ნასიამოვნები დავრჩით. ეს პატარა წიგნაკი „ობოლ მარგალიტად“ უნდა ჩაითვალოს იმ აუარებელ „სტატიებსა“, წერილებსა, წიგნებსა და კრებულს შორის, რომლებიც იბეჭდება ხალხისა და ყრმათა წასაკითხად. „მარინე“-ში ვერ შეხვდებით იმას, რაიცა გახდომიათ მოურჩენელ სენად ჩვენს სახალხო და საყმაწვილო მწერალთ: ტენდენციას, წინად-განზრახულ აზრს, რომელსაც აკოწიწებენ ხოლმე ისტორიულ ამბებსა და ზღაპრებს, იმისდა მიუხედავად, შეესაბამება ეს ამბები აზრს თუ არა. ჩვენის ავტორების ტენდენციურ „თხზულებათ“ აიღებთ თუ არა ხელში, მაშინვე, პირველის გვერდის ჩაკითხვაზედვე გული შეგიღონდებათ: თქვენ ჰხედავთ, რომ ავტორს განუზრახავს თქვენი სწავლება, ზნეობით ამაღლება, მამულის სიყვარულის გაღვიძება და აი ამის მისაღწევად მიუკიბ მოუკიბავს „რაცლა-რაცლა“-ები. განდეგილი კი, პირიქით, მოგითხრობთ მხოლოდ ერთს ისტორიულს ამბავს, რასაკვირველია, არა მომხდარს, გარნა ყოვლად შესაძლებელს. იგი სცდილობს კარგად, პოეტურად იყოს დასურათ ხატებული თვით ამბავი. საშუალებად ჰხმარობს: სუბუქს, ადვილ საკითხავ და მართალ ქართულ ენას; ფანტაზიას, რომელიც არა ჰღალატობს სიმართლეს ცხოვრებისას და ტკბილს მოსიყვარულე გულს. აი ამ მასალით აშენებს ამ პატარა მოთხრობას. ჰქმნის სურათს, ათბობს მას სიყვარულის სითბოთი, სურათს უტყუარს, და ჰგზავნის ხალხში: დეე თვით სურათმა ილაპარაკოს, მან სთქვას, რის თქმაც შეუძლიან; მე ჩემ თავად არას ვიტყვიო. ასეა დაწერილი „მარინე“ და მისი გავლენაც მკითხველზედ უებარი და უეჭველია ავტორის უთქმელად თვით მოთხრობა იტაცებს თქვენს გონებას აწინდელის ცხოვრებიდგან და გადაჰყავს ჩვენის ისტორიულის ცხოვრების იმ ხანაში, როდესაც ქართველ კაცს ცალს ხელში გუთანი ეჭირა და მეორეში ხმალი სამშობლოს მტრების მოსაგერებლად. მარინე ერთად-ერთს შვილს თედოს ჰგზავნის ომის ველზედ. მაგრამ დედის გულმა ვერ შესძლო შვილის მოშორება და თვითაც კაცურად ჩაცმული და იარაღში გამოწყობილი გაეშურება იქითკენვე. იქ, რასაკვირველია, ურიცხვ მტრის ლაშქრის მსხვერპლნი გახდებიან დედა-შვილნი. აი ორის სიტყვით შინაარსი „მარინესი“.

აი ერთი ნიმუშიც განდეგილის მოთხრობის სიმშვენიერისა.

„მარინეც ამზადებდა თავისს ერთად-ერთს შვილს თედოს (ომში წასასვლელად). დილიდგანვე დაათვალიერა ყველა იარაღი, ჩამოიღო კედელზედ მიკიდებული ხმალი და თოფი; ამოიღო ხმალი ქარქაშიდგან და ვაჟკაცურის მოუდენილობით გასჭვრიტა მარცხენა თვალით; მერე მიწაში ჩაურჭო და როცა დარწმუნდა, კარგიაო, ფრჩხილი ჩამოჰკრა ხმალს, რომელმაც ზარივით დაიწკრიალა, და ისევ ჩააგო ქარქაშში; თოფიც ამოიღო ბუდიდგან, კარგად ამოწმინდა როგორც ფალია, ისე ლულა და კუთხეში მიაყუდა“...

რა ჩინებული და ცხოველი სურათია!

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ეს პაწია მოთხრობა განდეგილისა ბევრად სჯობია იმავე ავქსონის სხვა ნაწარმოებთ და რომ ავქსონს ნამდვილი ნიჭი ემჩნევა მოთხრობების წერისა.

მე გახლავარ

# ნაკვესი

ქმარმა უთხრა ცოლს:

— საკვირველია, შენი უმცროსი და სწორედ ზედ გამოჭრილი გგავს, შენსავით განათლებულია და ჭკვიანი, შენზედ ლამაზი და ახალგაზდა არის, მაგრამ აქამდის ვერ გათხოვდა.

— მაგის მიზეზი ის არის, ჩემო სულიკო, უპასუხა ცოლმა, რომ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძალიან ფრთხილი ქალია და უგელაოხერს არ მისთხოვდება...

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელებს განზრახვა აქვთ ააგონ ახალი ბაბილონის გოდოლი, ანუ კოშკი, რომელიც ეიფელის კოშკზე გაცილებით უფრო მაღალი იქმნება. ეს კოშკი უნდა იყოს 650 მეტრის (მეტრი ჩვენებურ ადლს უდრის). ამ კოშკის გეგმა შეუდგენია ინჟენერს ფრეის. კოშკის შენობა სულ ფოლადისა იქმნება. შუა კოშკში გაიმართება მიხვეულ-მოხვეული ლიანდაგი და ელექტრონის მატარებელი კოშკის წვერამდე ივლის.

* * *

ერთს ახირებულს ამერიკელს ერთი ახირებული წისქვილი გაუკეთებია, რომელსაც ან ცხენი, ან ხარი აბრუნებს. წისქვილი წარმოადგენს ერთს დიდს ხის ბორბალს. ბორბალი ისეა გამართული, რომ შიგ ჩააყენონ ცხენი ან ხარი. ხარი რომ სიარულს დაიწყებს, ბორბალიც ტრიალს იწყობს და წისქვილს ამუშავებს. ხარისათვის ეს მუშაობა ძნელი არ არის, რადგანაც ის მარტო ფეხებსა სდგამს და ასე ჰგონია, მივდივარო, თუმც ერთს ალაგას-კი ჰრჩება და თავისის სიმძიმით ბორბალს ატრიალებს და წისქვილს ამუშავებს. ასეთის წისქვილის პატრონი ამბობს, რომ ხარი ძლიერ მალე ეჩვევა ამგვარ სამსახურსაო.

* * *

ერთს ნეაპოლელს გაუკეთებია პატარა ნავი, რომელიც თავისთავად დადის წყალში. ნავს არც ნიჩბები აქვს, არც ვინტი, არც იალქანი. მას მხოლოდ ფრთები აქვს, როგორც თევზს. ეს ფრთები შიგ წყალშია დამალული და ასეთი ნავი რომ დადის წყალში, კაცს ისე ჰგონია თავის თავად მოძრაობსო. ეს ნავი ძლიერ ჩქარა დადის თურმე და არც ღელვის შიშია ზღვაში. პირ-იქით, რაც უფრო ძლიერადა სცემს ტალღები, მით უფრო დიდის სისწრაფით დადის თურმე. ჰფიქრობენ, ძლიერ კარგი იქმნება, რომ ამგვარი გემიც გააკეთონო.

## გამოსადეგი ცნობა

—

სურათისა, სარკისა და სხვა ამ გვარის ჩარჩოების ოქროს კარაყი ხშირად ელვარებასა ჰკარგავს, ან კიდევ ბუზები აფუჭებენ. ამ ჩარჩოს გაწმენდა ასე უნდა: გადასწერით სახვი და წაუსვით ჩარჩოს. ორის საათის შემდეგ ოდნავ სველის ღრუბლით გადასწმინდეთ და ჭუჭყი მოშორდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 იანვარი

**ქაირი.** მთავრობამ დაადგინა ნოტა გაუგზავნოს სახელმწიფოებს და სთხოვოს საერთაშორისო კომისიის დანიშვნა. კომისიამ ეგვიპტის მთავრობის წინადადება უნდა განიხილოს და გარდასწყვიტოს საქმე ერთმანეთში არეულ-დარეულ გემების გაწესრიგების შესახებ.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვაა. თავმჯდომარემ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას მიჰყო ხელი. ლაბორიმ განაცხადა, რომ იმ 7 აფიცერს, რომელთაც ესტერგაზი გაასამართლეს, ჩვენება არ უნდა ჩამოერთვასო. იძახიან, რომ ამათი სახელები სიაში შეცდომით არის აღნიშნულიო. თავმჯდომარემ ზოგიერთ მოწმის საბოდიშო წერილი წაიკითხა, წაიკითხა აგრეთვე სასჯულო საქმეთა მინისტრის წერილი, რომ მინისტრთა საბჭომ ბილიოს აღუკრძალა ჩვენების მიცემა ნაფიც მსაჯულთა წინაშე; კაზიმირ პერიეს წერილი, რომელიც სწერს, რომ სასამართლოს მხოლოდ იმის შესახებ მოვახსენებ ყველაფერს, რაც ჩემის პრეზიდენტობის შემდეგ მოხდაო. ლაბორმა განაცხადა, რომ ყოველ მხრივ ვეცდები თავი შევიმაგრო ბილიოსა და კაზიმირ პერიეს შესახებ. დიუპატი-დე-კლამიც უარს აცხადებს, არას ვიტყვიო. ლაბორმა სთქვა, საჭიროა დე-კლამს ჩვენება ჩამოერთვას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს შემდეგს უმაღლესს სასამართლოში გადავიტანო. ბრალმდებელმა ვანკასელმა განაცხადა, რომ საქმის გარდაწყვეტა სასამართლოსაგან არის დამოკიდებული. ლაბორიმ განმარტა საქმის გარემოება და განაცხადა, რომ წინააღმდეგი არა ვარ საქმის ხალხის დაუსწრებლად გარჩევისა, რადგან ეს იმის დამამტკიცებელი საბუთი იქმნება, რომ ბრალდებულს საქმის გამოქვეყნება არა ჰსურსო. ლაბორი მზადაა მარტომ უმოწმებოთ აწარმოოს საქმე. თუ ეს არ მოხერხდა, დრეიფუსი ისევ იქვე ექსორიად ყოფილი იქნება, სადაც იგი გაგზავნა კანონმა, განსაკუთრებით მისთვის დადგენილმა (მეტის-მეტი წინააღმდეგობაა). სასამართლო სხვადა-სხვა დასკვნას დაადგენს მოწმების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ. ქ-ნმა ბულანსიმ წერილით ბოდიში მოიხადა, რომ არ შემიძლიან სასამართლოში გამოვცხადდეო. ლაბორიმ მოითხოვა გამომძიებელის ბერტიულიუსიის წინაშე იქმნას წაკითხული ბულანსის ჩვენება, რადგან იმ წერილის გარდა, რომელშიაც მოხსენებული იყო სიტყვა „ლან“-ი, ქ-ნს ბულანსის სხვა წერილებიცა ჰქონიაო. ვექილმა დაუმატა, ესტერგაზი ბულანსის აშინებდა, რომ მოგკლავ, თუ წერილებს ვისმე გაუმხელო. თავმჯდომარემ დანარჩენ მოწმეთა საბოდიშო წერილი წაიკითხა, სხვათა შორის, გენერალ მერსიესი. ლაბორი წინააღმდეგობას აცხადებს. ზოლა ამტკიცებს, რომ მერსიემ მოსამართლეთ, დრეიფუსისა და იმის დამცველის შეუტყობინებლად, საიდუმლო საბუთის ქაღალდი გამოუგზავნა, რომელიც არაფრით არის საინტერესო. თუ ჩემი სიტყვები სიმართლეს მოკლებულია, მოვიდეს ხვალ მერსიე და ამ საქმის შესახებ ყოველივე განაცხადოს. რამდენმამე აფიცერმაც მოიხადა ბოდიში, რომ არ შეგვიძლიან სასამართლოში მოვიდეთო. ლაბორმა სთქვა: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ აფიცერთ თავიანთი თავი განსაკუთრებულ წყობად, კასტად მიაჩნიათ, რომელიც არავითარს კანონს არ ექვემდებარება და შეუძლიან პატივი არა სცენ მართლ-მსაჯულებასაო“. კრების მცირე ხნით შეჩერების შემდეგ ლაბორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სასამართლომ უსათუოდ უნდა დაიბაროს მოწმებიო. საქმის განხილვა შეჩერებულ იქმნა ხვალამდის. სასამართლოში მყოფნი მშვიდობიანად დაიშალნენ. სასამართლოს დარბაზის წინ შეკრებილი ხალხი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდა. როდესაც ზოლა ეტლში ჩაჯდა, რამდენმამე ცნობის მოყვარემ, როცა იცნეს, რამდენისამე წუთის განმავლობაში ხმაურობით გააცილეს.

28 იანვარი

**პეტერბურგი.** 27 იანვარს, დიდის მთავარის მიხეილ პავლეს ძის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღეს, პეტრე-პავლეს სობოროში, განსვენებულის საფლავზედ, დიდთა მთავართა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. დარბაზის კარები 11 ნახევარ საათზედ გააღეს. აუარებელი ხალხი შევიდა დარბაზში; ზოლას შემოსვლამ სხვა და სხვა გვარი მანიფესტაცია გამოიწვია.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვა. კრებამ დაიწყო 12 საათსა 30 წ. პრეზიდენტმა წაიკითხა წერილი ესტერგაზისა, რომელიც უარს აცხადებს ჩვენების ჩამორთმევაზედ. ვექილებმა მოით ოვეს ესტერგაზი ძალით მოიყვანეთო. სასამართლო მოწმეთა გამოკითხვას დაუბრუნდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ექიმმა ინახულოს ავად-მყოფი მოწმენი და თუ შეუძლიანთ, ხელ ახლა დაიბარონ ისინი. რაც შეეხება სხვა მოწმეებს იმათ ხვალისთვის დაიბარებენ. ისინი უეჭველად უნდა გამოცხადნენ ჩვენების ჩამოსართმევად. შემდეგ სასამართლომ გამოჰკითხა დანარჩენ მოწმეებს, სხვათა შორის ქ-ნ დრეიფუსისას, მაორ ფორცინეტის, ჰოფენ-დე სენ-მორელს, გენერლებს. გონზს და პელიეს, ექსპერტებს, მინისტრებად ნამყოფებს— დიუპუის, პუანკარეს და ლეისსა, პოლკოვნიკს პიკარს, ვექილებს— ლებლუას, შერერ-კესტნერს და სხვათა, პირველად გამოჰკითხეს ქ-ნ დრეიფუსისას. ლაბორის უნდოდა ეკითხნა იმისთვის, მაგრამ პრეზიდენტმა ნება არ მისცა. ზოლამ წინააღმდეგობა განაცხადა იმის გამო, რომ დამცველებს ლაპარაკის ნებას არ აძლევენ. ლაბორიმ ითხოვა დრო მომეცით ჩემის დასკვნის შესადგენათო. სხდომა ცოტას ხანს შესწყვიტეს. კრების დაწყებისას ლაბორიმ თავისი დასკვნა წარადგინა და მოითხოვა, ნება მომეცით ქ-ნ დრეიფუს ზოგიერთი კითხვა მივცეო. სასამართლომ უარ-ჰყო ლაბორის თხოვნა. მოწმემ ლებლუამ განაცხადა, რომ მეგობრულ განწყობილებაში ვარ პიკართან, რომელმაც მითხრა დრეიფუსის სიმართლეში დარწმუნებული ვარო. დასასრულ ლებლუამ სთქვა, რომ შერერ-კესტნერს უამბე გენერალ გონზის მიერ პიკართან მიწერილ წერილის შესახებ და მაშინ შერერ-კესტნერიც დარწმუნდა დრეიფუსის სიმართლეში. შემდეგ გამოჰკითხეს კაზიმირ-პერიეს, რომელმაც განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც პრეზიდენტობას თავი დავანებე, დრეიფუსის საქმის შესახებ არარასფერი ვიციო. ბანკირის კასტროს ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ კრება დაიშალა.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას მუზეუმისთვის შემოსწირეს: 1, თ. იასონ დავითის ძე ციციშვილმა—1 ბეჭედი თითბრისა, 5 ნაჭერი მადნის ქვა, 4 ნაჭერი სუფთა ქვა და ძველი ფულები: 2 ვერცხლისა და 1 ქაღალდისა (რუსულები), 10 სპილენძისა (ქართული, რუსული, ოსმალური და ევროპიული) და 1 ნიკელისა (გერმანული). 2, ბ-ნმა ოღბაიძემ—ფურცლები მეტად ძველის ხუცურის ხელნაწერის სახარებისა მეცხრე ან მეათე საუკუნისა 3, ალექსი მისკინოვმა კატეხიზმო ანტონ კათალიკოზისა, დაწერილი მხედრულად 1799 წელსა; 4, მიხეილ ზედგინიძემ სამი ძველი საბუთის ქაღალდი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გიგზავნით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 17 მან., შეკრებილს ალილოზედ ქ. განჯაში და ამასთანავე მადლობას ვუცხადებთ როგორც შემომწირველთ, აგრეთვე მ. იმერლიშვილს, ბ-ნთ სალარიძეებს და სხვ., რომელთაც მიიღეს შრომა ალილოსთვის შემდგარს ხოროში.

ვ მ. ჯაფარიძე

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაო საცნობელად აცხადებს, რომ ვინც ქუჩის პირზედ დარგულ ხეებსა და ქალაქის ბაღებისას წაახდენს და დაამტვრევს, იგი კანონიერს პასუხის-გებაში იქმნება მიცემული.

(2—6.—1).

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА ЖУРНАЛЪ**

XIV годъ изданія 1898 г. — **НОВЪ** — XIV годъ изданія 1898 г.

иллюстрированный двухнедѣльный вѣстникъ современной жизни, политики, литературы, науки, искуства и прикладныхъ знаній

**ЗА 14 РУБЛЕЙ**

безъ всякой доплаты за пересылку премій, подписчики „НОВИ“ получаютъ въ 1898 году, съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россійской Имперіи, слѣдующія шесть изданій:

| | | |
|---|---|---|
| 1) ЖУРНАЛЪ НОВЪ 24 выпуска въ формате наибольшихъ европейскихъ иллюстрацій | 2) ОСОБЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ отдѣлъ МОЗАИКА (24 выпуска), составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣщающій въ себѣ 16 рубрикъ. | 3) ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНЫЕ СЕМЕЙНЫЕ ВЕЧЕРА (отдѣлъ для семейнаго чтенія) 12 ежемѣсячныхъ книжекъ романовъ и повѣстей. |
| 4) ВОСЕМЬ переплетенныхъ томовъ полнаго собранія сочиненій П. И. МЕЛЬНИКОВА (андрея печерскаго) | 5) четыре переплетенные тома полнаго собранія сичиненій ВЛ. ИВ. ДАЛЯ (казака луганскаго) | 6) ДВѢ РОСКОШНО ПЕРЕПЛЕТЕННЫЯ КНИГИ формата in-folio, „ЖИВОПИСНОЙ РОССІИ“, посвященныя описанію москвы и Москв. промышлен. обл. |

**Первый нумеръ новаго XIV (1898) подписнаго года выйдетъ 15-го Декабря 1897 года.**

ГОДОВАЯ ПОДПИСНАЯ ЦѢНА за всѣ вышеобъявленныя изданія вмѣстѣ съ пересылкою во всѣ мѣста Россійской Имперіи, безъ всякой доплаты за перес. и дост. безплатныхъ премій. За границу—24 рубля. **14 РУБ.**

Разсрочка платежа допускается, при чемъ при подпискѣ должно быть внесено не менѣе 2 руб.; остальныя же деньги могутъ высылаться по усмотрѣнію подписчика ежемѣсячно, до уплаты всѣхъ 14 руб. При подпискѣ въ разсрочку безплатныя преміи высылаются только по уплатѣ всей подписной суммы.

КЪ СВѢДѢНІЮ ГГ. НОВЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ НЕ ПОЛУЧАВШИХЪ „НОВИ“ ВЪ 1897 ГОДУ.

*Лица, не состоявшія подписчиками „НОВИ“ въ 1897 году и не имѣющія еще первой половины СОЧИНЕНІЙ АНДРЕЯ ПЕЧЕРСКАГО и первой половины СОЧИНЕНІЙ В. И. ДАЛЯ, могутъ, подписываясь на „НОВЬ“ въ 1898 году, получить первые шесть томовъ (т. е. томы 1 по 6) сочиненій А. Печерскаго и первые шесть томовъ (т. е. томы 1 по 6) сочиненій В. И. Даля, вмѣсто томовъ, выдаваемыхъ въ 1898 году прежнимъ подписчикамъ. Вторая же половина сочиненій, какъ А. Печерскаго такъ и. В. И. Даля, будетъ выдана этимъ новымъ подписчикамъ въ 1899 году, въ чемъ редакція теперь же и принимаетъ передъ ними обязательство.*

Новые подписчики на „НОВЬ“ 1898 года, т. е. лица не бывшія подписчиками на журналъ въ минувшемъ 1897 г., при уплатѣ за 1898 г. 26-ти рублей вмѣсто 14-ти руб., могутъ получить въ 1898 г.:

**всѣ 14 томовъ полнаго собранія сочиненій Андрея Печерскаго и всѣ 10 томовъ полнаго собранія сочиненій В. И. Даля,**

а также и тѣ двѣ переплетенныя книги „Живописной Россіи“. которыя выдавались подписчикамъ въ 1897 году; значитъ, вмѣсто двухъ книгъ „Живописной Россіи“, они получатъ четыре переплетеныя книги этого изданія и, вмѣсто 12 томовъ сочиненій А. Печерскаго и В. И. Даля, 24 тома.

Подписка принимается исключительно въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. Вольфъ, въ С.-Петедбургѣ, Гостиный Дворъ, 18; въ Москвѣ—Кузнецкій мостъ, № 12, и въ редакціи „НОВИ“, въ С.-Петербургѣ, Васильевскій остр., 16 лин., собств. домъ, № 5—7 Подробныя объявленія о подпискѣ и условіяхъ разстрочки платежа высылаются № Главной Конторы редакціи журнала „Новь“ (С.-Петербургъ, Вас. Остр. 16 лин., дзъи. 5—7) по востребованію безплатно.

(8—ე—4).

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Января 1868 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.